

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის**

ო ქ მ ო № 3

24 სექტემბერი 2009 წელი

ქ. ბათუმი

**სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ
მიქელაძე.**

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანშვილი, ქეთევან ჯიქია,
თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი.**

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და
წარადგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტან
დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება
წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების
შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ო ს წ ე ს რ ო გ ო

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს გამოკლებული წევრის
ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარებ არჩილ მიქელაძემ კომისიას წარუდგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სით არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს ბადრი ფარტენაძეს უმაღლეს საბჭოს 2009 წლის 15 სექტემბრის №47 დადგენილებით ვადამდე შეუწყდა უმაღლესი საბჭოს წევრობა. ასევე მისი ადგილმონაცვლედ კომისიას წარუდგინა ამავე პარტიის პარტიული სით რიგით მომდევნო კანდიდატი კობა ჩაგანავა, კომისიას გააცნო კანდიდატის თანხმობა უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე, ნარკოლოგიური ცენტრიდან წარმოდგენილი ცნობა დეპუტატობის კანდიდატის მიმართ ნარკომანიის, ტოქსოკომანიის, ალკოლიზმის ფაქტის არ გამოვლენის შესახებ, ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიის მიერ უნდა მოხდეს უმაღლეს საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობა.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარებ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:

| | |
|---|----|
| მომხრე | 5; |
| წინააღმდეგი | 0; |
| (კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი) | |

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 15 სექტემბრის №47 დადგენილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ცნობილი იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, ბადრი ფარტენაძის (პარტიულ სიაში №9) ადგილმონაცვლედ ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი კობა ჩაგანავა (პარტიულ სიაში №11).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დაწურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია